საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/29

ქ. ბათუმი 06 მარტი, 2023 წ.

ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის შესარჩევი კონკურსის შედეგის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 თებერვლის №01-02/22 ბრძანების, ტექნოლოგიური ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№5, 06.03.2023) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 თებერვლის №01-02/22 ბრძანებით გამოცხადებული და ჩატარებული ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგი **დანართი** 1-ის შესაბამისად.

2. კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს წინამდებარე დადგენილების **დანართში** მითითებულ ვადებში, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების თანახმად.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,კონკურსები“ და ,,აკადემიური საბჭოს დადგენილებები“).

4. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, შესაბამის

ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, კონკურსში გამარჯვებულ პირს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტ. ფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის
შესარჩევი კონკურსის შედეგის დამტკიცების თაობაზე“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 06 მარტის №06-01/29 დადგენილების

დანართი 1.

№	ტექნოლოგიური ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი	საკონკურსო მიმართულებები	აკადემიური თანამდებობის/საშტატო ერთეულის დასახელება	გამარჯვებული კონკურსანტი	გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ვადა
1	ინჟინერიისა და მშენებლობის	არქიტექტურა	ასისტენტ-პროფესორი	მარიამ ღომიძე	14.03-2023-დან 14.03.2027-მდე